საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წესრის გათავისუფლებისა და დანიშვნის შეხახებ საქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ხაბჭოთა ხოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი ხაბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1978 წლის 20 იანვრისა — „ამხ. ი. შ. ზედგინიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ";

1978 წლის 20 იანვრისა — „ამხ. გ. გ. ლეკვეიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ";

1978 წლის 1 თებერვლისა — „ამხ. ი. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა ხაბჭოს მშენებლობის ხაქმეთა ხახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ";

1978 წლის 1 თებერვლისა — „ამხ. ვ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა ხაბჭოს მშენებლობის საქმეთა ხახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ".

ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს ხაბჭოთა ხოციალისტური რესპუბლიკისა

ხაქართველოს სსრ ზოგიერთ ხაკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

ხაქართველოს ხაბჭოთა ხოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი ხაბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1978 წლის 17 თებერვლისა — „ხაქართველოს სსრ შრომითი კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ";

1978 წლის 25 აპრილისა — „ხაქართველოს სსრ ხახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე".

ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს ხაბჭოთა ხოციალისტური რესპუბლიკისა

ქალაქ ბათუმის ჰიერ ხამეურნეო და ხაყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

ხაქართველოს ხაბჭოთა ხოციალისტური რესპუბლიკის **ადგენს:**

დამტკიცდეს ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 23 თებერვლის ბრძანებულება „ქალაქ ბათუმის ჰიერ ხამეურნეო და ხაყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ".

ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

ხაქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 28 ივნისი.

---

2 ივლისი ხაზღვაო დაცვის მუშაკთა დღეა

ნახევარი წლის დავალება — ვადამდე

შრომაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებით ეგებიან საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღეს ხავსადგურებისა და გემთმშენებელი ქარხნების მშრომელები, მეზღვაურები და მემდინარეები.

მიმდინარე ხუთწლედში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყლის ტრანსპორტს, უწინარეს ყოვლისა საზღვაო ტრანსპორტს, რომელმაც უფრო სრულად უნდა დააკმაყოფილოს ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი საგარეო-სავაჭრო და საკაბოტაჟო ტვირთზიდვაზე.

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღეს კარგი მაჩვენებლებით შეხვდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივი. ვადამდე ათი დღით ადრე შეასრულეს ბათუმელმა დოკიერებმა წლის პირველი ნახევრის დავალება. სოციალისტურ შეჯიბრებაში საუცხო მაჩვენებლებს მიაღწიეს „თბილისის", „ფორე მოსულიშვილის", „სამტრედიის", „საბჭოთა საქართველოს ორმოცდამეათე წლისთავის" და სხვა ტანკერების ეკიპაჟებმა.

ს ა ნ ა ხ ე ვ ა რ ი ფ ლ ი ს დ ა ვ ა ლ ე ბ ა — ვ ა დ ა მ დ ე

**ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ზ ღ ვ ა ო ს ა ნ ა ო ს ნ ო ს ტ ა ნ კ ე რ ე ბ ი ს ა ბ ა ნ ა ო ბ ა ს ა ბ ა ტ ო ნ ი ს ა ბ ა ტ ო ნ ი ს ა ბ ა ტ ო ნ ი

უჭკნობი



ლიტოგრაფია

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალს 2 ივლისს 40 წელი უსრულდება. მუზეუმის ექსპოზიციის მოწყობაში დიდი დახმარება გაგვიწია ვ. ი. ლენინის ცენტრალურმა მუზეუმმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ისტორიის ინსტიტუტმა. ჩვენი მუზეუმის შექმნას წინ უძღოდა ვ. ი. ლენინის მუზეუმის გახსნა მოსკოვში.

1920 წლის 21 სექტემბერს რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „ოქტომბრის რევოლუციის ისტორიისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის მასალების შემგროვებელი და შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ". ოქტომბერში გადაწყდა ლენინის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალების შეგროვებას შედგომოდნენ, რათა მოეწყოთ მისი მუზეუმი.

ლენინის დოკუმენტებს საგულდაგულოდ ეძებდა ლენინის ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა რკპ (ბ) მოსკოვის კომიტეტის 1923 წლის 31 მარტის პლენუმის გადაწყვეტილებით, რაც შემდეგში მოსკოვის პარტიულმა კონფერენციამ დაამტკიცა.

ამ ინსტიტუტის განყოფილებაც უფლებებით შეიქმნა ლენინის მუზეუმი, რომლის ფონდში 1928 წელს უკვე იყო 700 ექსპონატი. შეუკვეთეს ვ. ი. ლენინის კრემლის კაბინეტისა და რაზლივის ომ ქოხის პირები, სადაც 1917 წლის ივლისის ამბების შემდეგ ვ. ი. ლენინი ემალებოდა დროებითს მთავრობას.

1923 წელს პირველ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო გამოფენაზე, რომელიც ვ. ი. ლენინმა, თუმცა ავად იყო, მაინც დაათვალიერა, შეიქმნა ეგრეთწოდებული **„ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის (ლენინის) ხახელობის კუთხე".** გამოფენის ორგანიზატორებმა ხალხს მოუწოდეს შეეგროვებინათ და მოეტანათ ლენინისეული დოკუმენტები, ნივთები, მხატვრული ნაწარმოებები ბელადის შესახებ.

მალე ლენინის ინსტიტუტმა საერთო საკავშირო მნიშვნელობა შეიძინა და 1928 წლის ოქტომბრიდან იგი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა. ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს ყველა ზომა ბელადის ხსოვნის უკვდავსაყოფად. 1924 წლის თებერვალში გამოვიდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება — ლენინის ინსტიტუტის დაარსების შესახებ, ხოლო რკპ (ბ) XIII ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1924 წლის მაისში, მოისმინა ცნობა ლენინის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ და მიიღო დადგენილება: **„ლენინის ინსტიტუტი გახსნილად ჩაითვალოს".**

პირველ წლებში მუზეუმი განლაგებული იყო ლენინის ინსტიტუტის შენობაში. მის ექსპოზიციებს და საცავს განუწყვეტლივ ემატებოდა ახალი დოკუმენტები და ექსპონატები. ლენინის ინსტიტუტმა მუზეუმს გადასცა ვლადიმერ ილიას ძის პალტო. ცნობილმა ფოტოოსტატებმა მუზეუმს ჩაბარეს ხუთი ყუთი ნეგატივები და 136 დოკუმენტური ფოტოსურათი. მუზეუმმა მიიღო აგრეთვე ვ. ი. ლენინის ტანსაცმელი, გამნაზის ოქროს მედალი და ვერცლის პორტსიგარი, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაშეუფთა დასახმარებლად გადასცა ნიღაბი, რომელიც ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ გაიკეთა მოქანდაკე ნ. დ. მერკუროვმა.

მასალების შეგროვებასა და ექსპოზიციის შექმნაში მუზეუმს უდიდეს დახმარებას უწევდნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, ანა ილიას ასული, მარია ილიას ასული და დიმიტრი ილიას ძე ულიანოვები, ფ. ე. ძერჟინსკი, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი და ლენინის სხვა თანამებრძოლები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის დიდი და ნაყოფიერი მუშაობა. მან არათუ გამოთქვა თავისი **მნიშვნელოვანი** მოსაზრებანი მუზეუმის ხასიათის, მისი გაფორმებისა და მოგვლა-შენახვის თაობაზე, არამედ პირადად მიიღო აქტიური მონაწილეობა მასალების შეგროვებაში.

ლენინის ინსტიტუტში სამეცნიერო სამუშაოთა მოცულობის გაფართოებასთან დაკავშირებით ინსტიტუტის საბჭომ 1924 წლის 7 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება **ლენინის მუზეუმი გადაეტანათ რევოლუციის მუზეუმის შენობაში.**

1931 წლის ნოემბერში სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტი და სკკ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ლენინის ინსტიტუტი გაერთიანდნენ და შეიქმნა ერთიანი საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი. ლენინის ინსტიტუტის მუზეუმი ამის შემდგენლობაში შევიდა როგორც დამოუკიდებელი საექსპოზიციო (საგამოფენო) ნაწილი.

1935 წელს სკკ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ვ. ი. **ლენინის ცენტრალური მუზეუმის შექმნის შესახებ, ხოლო 1936 წლის 15 მაისს „პრავდაში" გამოქვეყნდა სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება** მისი გახსნის შესახებ. ელადიმერ ილიას ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მთელი საექსპოზიციო-საგამოფენო ნაწილი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა გადმოიტანა მუზეუმში.

ჩვენი მუზეუმი 40 წლის განმავლობაში დაათვალიერა 4 მილიონზე მეტმა კაცმა. მარტო გასულ წელს მუზეუმში იყო 220.000 კაცი. მუზეუმის დარბაზებში წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ნაწერმამა პირველი უნიკალური გამოცემები, ფოტოსურათები, მაკეტები, სურათები, ქანდაკებები, რომლებიც ასახავენ ელადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

მუზეუმში პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, სახელოვანი მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის მოწინავე ადამიანები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, სახელოვანი გენერლები, საბჭოთა კავშირის გმირები, ყოფილი პარტიზანები, მეცნიერების, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ხვდებიან მშრომელებს. ეს შეხვედრები ყოველთვის ამაღელვებელი და დაუფიწყარია.

ვ. ი. ლენინის სახელთან განუყოფელია ყოველწლიურად ამ წიგნს.

ჩვენი მუზეუმი 40 წლის განმავლობაში დაათვალიერა 4 მილიონზე მეტმა კაცმა. მარტო გასულ წელს მუზეუმში იყო 220.000 კაცი. მუზეუმის დარბაზებში წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ნაწერმამა პირველი უნიკალური გამოცემები, ფოტოსურათები, მაკეტები, სურათები, ქანდაკებები, რომლებიც ასახავენ ელადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

„ა, კიდევ: ლენინის ინიციატივით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ 750 ათასი ოქროს მანეთი გაიღო საბჭოთა საქართველოში პირველი, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის, რომელიც გოელროს ლენინური გეგმით იყო გათვალისწინებული. შემდგომში საკავშირო მთავრობას ჩვენი რესპუბლიკის ელექტრიფიკაციის საქიროებისათვის არაერთგზის გამოუყია დიდძალი ფულადი სახსრები. **ლენინის ინიციატივით 1921 წელს მოსკოვიდან საქართველოში ჩამოიტანეს მოწყობილობა მაუდის ფაბრიკისათვის, რომელიც ქუთაისში შენდებოდა.**

ჩვენმა ხალხმა გამოხატა უდიდესი პატივისცემა და უდიდესი სიყვარული ბელადისადმი — საბჭოთა საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკა ჩვენს ქვეყანაში, სადაც დადგეს ლენინის მონუმენტი-ბიუსტი. ეს მოხდა 1921 წლის 21 სექტემბერს, თბილისში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეშვიდე თვეზე, ძეგლი-ბიუსტი დადგეს რუსთაველის პროსპექტის, ყოფილი ოლღის ქუჩისა და გრიბოედოვის ქუჩის შესაყართან. ამ დოკუმენტებს დიდი ინტერესით ათვალიერებს ყველა.

ლენინი პოპულარობით სარგებლობს ძუზეუმში გამოფენა: **„განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია".** დამთვალიერებელნი დიდი ინტერესით ეცნობიან დოკუმენტებს, რომლებიც შეეხება ბელადის, როგორც მოსკოვის საბჭოს დეპუტატის მოღვაწეობას. აქ არის ბელადის სახელზე გამოწერილი დეპუტატის ბილეთების ფოტოპირები, მასალები, რომლებიც გვასწავლიან როგორ უნდა შევასრულოთ დეპუტატის მოვალეობანი. გამოფენასთან ხშირად ეწყობა საუბრები; გამოდიან ძველი ბოლშევიკები, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

მომსვლელთა ინტერესს იწვევს გამოფენა: **„ლენინური პარტიის პარტიული ბილეთი".** დღესაც დიდებულად ყიღერს ლენინის სიტყვები, რომელიც ამშვენებს გამოფენას: „პარტიის ყოველი წევრი პასუხისმგებელია პარტიისთვის და პარტია პასუხისმგებელია ყოველი წევრისათვის". ეს გამოფენილია ლენინის სახელზე სხვადასხვა დროს გაცემული პარტიული ბილეთების ფოტოპირები. აქვეა ამანაგი ლ. ი. ბრეჟნევის მიერ 1973 წლის 1 მარტს ხელმოწერილი პარტიული ბილეთი № 0000001, რომელიც ტრადიციულად ივსება ვ. ი. ლენინის სახელზე. დიდი ადგილი აქვს დათმობილი სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების მასალების პროპაგანდას.

მუზეუმის დარბაზებში საზეიმო ვითარებაში ტარდება კომკავშირის რიგებში და პიონერთა ორგანიზაციაში მიღება. ბავშვები უდიდესი ინტერესით ათვალიერებენ გამოფენას „ლენინი და ბავშვები".

ძუზეუმის დათვალიერების შემდეგ, როგორც წესი, ყველა ნახულობს უნიკალურ დოკუმენტურ ფილმს „ცოცხალი ლენინი".

ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხლობს, ლენინი იცოცხლებს!

ფ. მახარაძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მთავარი ექსპოზიცია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დარბაზი; ქვემოთ — კრემლში ვ. ი. ლენინის კაბინეტის ასლი თბილისის ლენინის მუზეუმში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა და მიმოხილვა

ეს ლაპარაკობენ ეს ლაპარაკობენ ეს ლაპარაკობენ



ყველა ხალხის ინტერესებისათვის

მუშაობა დაიმთავრა გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურმა სესიამ

ნიუ-იორკი, 1 ივლისი (საკადესი). აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურმა სესიამ. ხუთი კვირის მანძილზე სესიის დელეგატები — 149 სახელმწიფოს წარმომადგენლები, რხილავდნენ თანამედროვეობის **ყველაზე** გადაუდებელ და მწვავე **პრობლემას** — **გამალებული შეიარაღების ალაგმვის, განიარაღების მიღწევის, ბირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილების გზებს.**

სესიის მონაწილეებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი და მოიწონეს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი ინიციატივები, რომლებიც წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

საერთაშორისო გაერთიანებამ, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა, მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ წინადადებებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის პრაქტიკული გზების შესახებ. ეს წინადადებანი, ხაზი გაუსვა მან, ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა.

ბევრი დელეგატი დაეთანხმა საბჭოთა კავშირის წინადადებას ბირთვული იარაღის გავრცელების თაობაზე აცილების საკითხების შესახებ და მხარი დაუჭირა სსრ კავშირის მოწოდებას დაიცვან ატომური იარაღის გაფრცელებლობის ხელშეკრულება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში.

დისკუსიის დროს მსოფლიო საზოგადოებრიობის მოწონება დაიმსახურა სსრ კავშირის წინადადებამ იმის შესახებ, რომ აღკრძალოს მასობრივი მოსსობის ახალ სახეობათა და სისტემათა იარაღის შექმნა, და უწინარეს ყოვლისა, ნეიტრონული იარაღის წარმოება.

სესიის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკებაზე უსწრაფესად შიიღწიონ მეთანხმებას სტატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

სესიაზე მიღებულ საბოლოო დოკუმენტში გენერალური ასამბლეის დელეგატებმა საზეიმოდ განაცხადეს, რომ „განიარაღება და შეიარაღების შეზღუდვა, განსაკუთრებით ბირთვულ დარგში, უაღრესად საჭიროა ბირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილებისა და საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის".

კამათის დროს ასამბლეის დელეგატებმა შეშფოთება გამოთქვეს დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა ცდების გამო ლახვარი ჩასცენ საერთაშორისო გაერთიანების მეცადინეობას გამალებული შეიარაღების ალაგმვის დარგში და დაჩქარონ ახალი სამხედრო მზადების გეგმები. სესიის მონაწილეებმა სასიდრისი პასუხი გასცეს ჰეკინის ავდრეს ჩაშალოს დაძაბულობის შერბილებას პროცესი და განიარაღების მიღწევა, მისი წამქეზებლური მოწოდება ახალ მსოფლიო ომისათვის.

გენერალურმა ასამბლეამ გამოთქვა რწმენა, **რომ** განიარაღების პრობლემების განხილვა სპეციალურ სესიაზე **და** მისი საბოლოო დოკუმენტი მიიპყრობს ყველა ხალხის ყურადღებას, ხელს შეუწყობს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შემდგომ მობილიზაციას **და** „ძალადაჩენ სტამეულს მისცემს განიარაღებას სქმეს, რომელიც ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება".



ნეიტრონული იარაღის ხელში ჩასაგდებად

ვაშინგტონი. (საკადესი). შეერთებული შტატები ნეიტრონული იარაღის წარმოებისათვის ემზადება, როგორც წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი", ნეიტრონული იარაღის მომხრენი მთავრობასა და კონგრესში ახლა იღებენ ინიციატივას, რომ დაუყოვნებლივ ამოქმედდეს ორი ნაკადური ხაზი — ერთი მცირე სიმძლავრის ბირთვული ტურვებისა და მუხტების წარმოებისათვის, მეორე კი ნეიტრონული ღონეების წარმოებისათვის, რომლებითაც ადიტურვება ისინი და ამრიგად ნეიტრონულ იარაღად იქცევა. პენტაგონის წარმომადგენლები თავიანთ მოთხოვნებში ეშველიებენ პრეზიდენტ ჯ. კარტერის 7 აპრილის გადაწყვეტილებას, რომელშიც ნათქვამია, რომ მან გადადო ლენინის ტიპის რაკეტისა და მდუმიანი საარტილერიო ჭურვის ნეიტრონული საბრძოლო მუხტების წარმოება, მაგრამ „ღიად დატოვა მომეტებული შესწავლების ელემენტებით მათი აღჭურვის შესაძლებლობა".

„ვაშინგტონ პოსტის" აზრით, თუმცა სანლი სულ მალე მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას ნეიტრონული იარაღის შესახებ. სენატორმა მ. ჰეტფილდმა გამოთქვა შეშფოთება, ამ ახალი გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოებრიობა ვერაფერს შეიტყობს, რადგან იგი შესაძლოა, საიდუმლოდ გამოიტანონ ნეიტრონული ღეროების წარმოების გადაწყვეტილების საიდუმლოდ გამოტანის წინადადება წამოაყენეს ამ კვირაში სენატის ასიგნებათა კომისიაში, სადაც განხილავდნენ ნეიტრონული იარაღის კომპონენტების წარმოების გეგმებს.

სტოკჰოლმი. (საკადესი). ის ამბავი, რომ შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა შეუდგეს ნეიტრონული იარაღის წარმოებას დასავლეთ ევროპაში მისი განლაგების მიზნით, დასავლეთ ევროპის, საზოგადოებრიობის მწვავე კრიტიკას იწვევს.

ევროპაში ახალი ტიპის ბირთვული იარაღის, კერძოდ, ნეიტრონული იარაღის განლაგებას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს, ბაზალსმული წიგნში „ტაქტიკური ბირთვული იარაღი და მისი პერსპექტივები ევროპაში", რომელიც სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემათა კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტმა გამოსცა. ეს ნაირსახეობის იარაღი შლის ზღვარს ბირთვულ და ჩვეულებრივ იარაღს შორის, და მის გამოყენებას აუცილებლად მოყვება შედეგად არაბირთვული ომის ბირთვულად გადაზრდა, ხაზგასმულია წიგნში.

ITALIA:

პრეზიდენტი კვლავ ვერ აირჩიეს

რომი, 30 ივნისი. (საკადესი). დღეს იტალიის პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე 20 ოლქის დელეგატთა მონაწილეობით გაიმართა **რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების მეორე და მესამე ტური.** არჩევნებში მონაწილეობდა 983 ამომრჩეველი. იტალიის კომუნისტური პარტიის კანდიდატმა, იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ჯ. ამენდოლამ ერესმე ტურში მიიღო 339 ხმა. მთავრული ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატს გ. გონელს ხმა მისცა 351 ამომრჩეველმა.

ამრიგად, კენჭისყრის დღეგანმავლობაში **ერთ** ერთ კანდიდატს ვერ მოუტანია გამარჯვება.

ამასთან დაკავშირებით დემოკრატიულ პარტიებს შორის გრძელდება მოლაპარაკება პრეზიდენტის კანდიდატურის გამოსაყენებლად. ეს ნიშნავს, **რომ** ამ ოლქებში ეროვნული ერთიანობა ვერ **ეფუძნა** ეროვნული ერთიანობა ვერ **ეფუძნა** ეროვნული ერთიანობა ვერ **ეფუძნა**

ნორჩი გამელეგი შავი ზღვისაკენ

ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა 200 ბავშვს გულითადად მასპინძლობენ ქობულეთის, კინდღისა და გუდაუთის პიონერთა ბანაკები. აქ, შავი ზღვის ულამაზეს სანაპიროზე ბავშვები დაისვენებენ, ჯანმრთელობას გაიკეთებენ, ბევრ ახალ მეგობარს შეიძენენ.

მასპინძლები კარგად მოემზადნენ ნორჩი ციმბირელების შესახვედრად. საუკეთესო კორპუსები დაუთმეს მათ, ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებენ, ყველაფერს აკეთებენ, რომ შორეული ბამიდან ჩამოსული ბავშვები თავს კარგად გრძნობდნენ. მათ განკარგულებაშია ექთნიმოწყობილი საძღვრე ოთახები, სასადილოები, სპორტული მოედნები და, რაც მთავარია, ჩახჩახა ზზე, სუფთა ჰაერი და ლაჟვარდოვანი ცა.

უახლოეს დღეებში პიონერთა კიდევ ორი დიდი ჯგუფი ჩამოვა დასასვენებლად უკიდურესი ჩრდილოეთიდან, კერძოდ არხანგელსკის ოლქიდან. ერთ ჯგუფს მიიღებს გუდაუთის, ხოლო მეორეს — ჩათახის პიონერთა ბანაკი. (ფოტო ინფორმ).

სპეციალური მერიდიანებზე

მეგობრების მუსიკალური სპექტაკლები

2-დან 30 ივლისამდე ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის შენობაში გასტროლები აქვს ხარკოვის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივს. სწორედ ამის გამო „კომუნისტის“ მკითხველებს სტუმარია თეატრის მთავარი რეჟისორი მარკ ალარისკი. იგი გვიამბობს:

— თქვენს შვენიერ დედაქალაქში დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის დ. ალექსიძის ხელმძღვანელობით. თბილისში ბევრი ნაცნობ-მეგობარი მყავს, ამიტომ, გამიგებთ, მღელვარებაც დიდი და პასუხისმგებლობის გრძნობაც.

ხარკოვის მუსიკალური კომედიის თეატრი ერთ-ერთი უძველესია ჩვენს ქვეყანაში. მას გაისდა 50 წელი უსრულდება. ბევრი საბჭოთა ოპერეტა, მაგალითად ს. რიაბოვის „ქორწილი მალინოვკაში“, ა. დუნაევსკის „ხაქმროები“ და სხვა, პირველად სწორედ ამ თეატრში დადგა.

ჩვენს თეატრს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქართველ კომპოზიტორებთან. აქ მარტო გიორგი ცაბაძის სამი ოპერეტა დადგა. თუმცა თბილისში არ ჩამოგვიტანია, მაგრამ თეატრს რეპერტუარში აქვს აგრეთვე გია ყანჩელის „ხანუმა“, რომელიც კომპოზიტორმა ლენინგრადელ დრამატურგებთან ვ. კონსტანტინოვთან და ბ. რაცერთან ერთად შექმნა. „ხანუმა“ ჩვენს თეატრში დადგა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვლადიმერ კანდელაკმა. კანდელაკის ორი სხვა სპექტაკლი კი საგასტროლო ავიზოშია გვაქვს. ესენია ჟ. ოფენბახის „პერიკოლა“ და ფ. ლეგარის „გრაფი ლუქსემბურგი“.

თბილისელები ნახავენ აგრეთვე ი. კალმანის „ცირკის პრინცესას“ და „სილვას“, ი. შტრაუსის „ვენის შვენიერებს“, ჟ. ოფენბახის „მშვენიერ ელენეს“, ფ. ლეგარის „მხიარულ ქვრივს“ და სხვ.

თბილისის გარდა დაგეგმილია სპექტაკლები რუსთავის მშრომელებისათვის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის.

ვიცდებით არ გავაწბილოთ მომთხოვნი თბილისელი მაყურებელი. გელით ჩვენს სპექტაკლებზე, მეგობრებო!

სურათზე: უკრაინის სხრ დამსახურებული არტისტები ვალენტინა პარჩელი და ვლადიმერ პოდსადნი ხაგასტროლო სპექტაკლში „ბოშური სიყვარული“.

„საბჭოთა მედიცინა“ № 3

გამოგიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მესამე ნომერი.

თქვენთვის, ჩვენო პატარებო!

პიონერთა ქალაქი „ციხკარი“

ბავშვის მარტივი ნახატი — მზე და ყველასათვის ნაცნობი სიმღერის სიტყვები... ისფალტზე საუკეთესო ნახატს კონკურსის ეს დამახასიათებელი ეპიზოდი პიონერთა დღესასწაულის ერთ-ერთი შტრიხია, რომელიც ცხვირეშამიაში გაიმართა.

აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბავშვთა ჯამაჯანსაღებელი ქალაქი „ციხკარი“. ბავშვებისათვის მათი ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენის მოსალოდნელ მოვიდნენ კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

წარმტაცია ცხვარეშამიას ბუნება, და პიონერთა ქალაქი თითქოს მისი ბუნებრივი გაგრძელებაა: მყუდრო ხეებობანი არ არღვევენ საერთო ჰარმონიას, პირიქით, ხაზს უსვამენ პეიზაჟის განუმეორებლობას. ამიტომაც ადვილი გასაგებია ბავშვების სიხარული, რომლებიც აქ ისვენებენ.

— ლოზუნგმა „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!“ — აქ თავისი რეალური გამოხატულება ჰპოვა, — თქვა ბავშვთა გამჯანსაღებელი ქალაქის „ციხკარის“ დირექტორმა გ. ცხოვრებაშვილმა. — ჩვენი ბავშვები, უბრალო მშრომელთა ბავშვები ამ ადგილების ნამდვილი ბატონ-პატრონნი არიან. მათ განკარგულებაშია ყველაფერი, რაც საჭიროა კარგი დასვენებისათვის — სპორტული ბაზები, პიონერთა ოთახები, ოთახები წრის მუშაობისათვის, მხატვრული თვითმოქმედებისათვის. სასადილოები შეუფერხებლად მარაგდება ხორცისა და რძის პროდუქტებით, ბოსტნეულითა და ხილით.

მიმდინარე ზაფხულს პიონერთა ქალაქში დაისვენებს და ჯანმრთელობას გაიკეთებს ცხრა ათასამდე ბავშვი. გათვალისწინებულია ცხვარეშამიას შემოგარენში 22 ბანაკის მშენებლობა.

(საქინფორმი).

* * *

სურათებზე: ქვემოთ — გამაჯანსაღებელი ქალაქის „ციხკრის“ საზეიმო ხაზი; ზემოთ — პიონერული პატაკი.

გ. კიკვიძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ჩვენ და ჩვენი ჯანმრთელობა

აფთიაქი და ავადმყოფი

სამკურნალო პრეპარატების გაცემის ახალი წესები

ამ უკანასკნელ ხანს ძალიან გაგრცელდა თვითმკურნალობა. ზოგი სამედიცინო ლიტერატურის გაცნობით თავის თავს უნიშნავს წამალს და ექიმს სთხოვს ამ პრეპარატის მისაღებად საჭირო რეცეპტის გამოწერას.

არიან ქრონიკული ავადმყოფები, რომლებიც წლების განმავლობაში მკურნალობენ ერთი და იგივე წამლით და მის მისაღებად სათანადო რეცეპტიც აქვთ. ესეც თვითმკურნალობაა, რადგან დროთა განმავლობაში ავადმყოფის ორგანიზმში ცვლილებები ხდება, ერთი და იგივე წამალს მიღება ზოგჯერ საზიანოა.

რა დასამალია და, ხშირად აფთიაქში ვერ ნახავთ საჭირო მედიკამენტებს და როცა კი არის, ავადმყოფები ცდილობენ მათთვის საჭირო წამლები ბევრი შეიძინონ, რომ ყოველთვის საძღვარი არ ჰქონდეთ. ის კი ავიწყდებათ, რომ ყოველ წამალს აქვს თავისი შესახვევი წესები და მოქმედების ვადა. ბევრჯერ ბინაში შენახული ასეთი წამლები უფუქდებათ, მაშინ, როდესაც სხვას საკურნალოდ სჭირდება და ვერ შოულობს.

იმისათვის, რომ ავადმყოფებს თავიდან აიცილონ ერთი და იგივე წამლის ხანგრძლივი მიღება, დაიცვან ისინი თვითმკურნალობის ბევრ შედეგებისაგან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ავადმყოფებისათვის რეცეპტის გამოწერისა და წამლის გაცემის ახალი წესი.

— როგორია ეს ახალი წესი, რა სიკეთეს ჰპირდება იგი ჩვენს მოსახლეობას?

ასეთი შეკითხვით მივმართეთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ საფთიაქო სამმართველოს უფროსს გ. ხანთაძეს

— წამლის გაცემის ახალი წესის შემოღება განაპირობა იმ ნაკლოვანებებმა, რომლებსაც დღესდღეობით ჯერ კიდევ ვხედებით წამალთმომსახურების საქმეში. ჯერ კიდევ შეიძნევა უყურადღებობა წამლის დანიშვნის, მიღების, აგრეთვე საფთიაქო დაწესებულებიდან მათი გაცემის დროს. არის შემთხვევები, როცა ექიმები ავადმყოფს სამკურნალო პრეპარატებს უწერენ მათი თხოვნით, საჭირო ჩვენებების გაუთვალისწინებლად.

ზოგიერთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ხარეცეპტო ბლანკების შენახვასა და გამოყენებაში არ არის დამყარებული სათანადო წესრიგი. ამ მიზეზით ხდება, რომ ზოგჯერ რეცეპტებს გამოწერენ ხოლმე ის მედიცინის მუშაკები, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ, ხოლო ზოგჯერ საძღვიცინო გამათლების არმქონე პირებიც. არის შემთხვევები, რომ ანტიბიოტიკების და სხვა სამკურნალწამლო საშუალებების აფთიაქებიდან გაცემა ურეცეპტოდ წარმოებს, რასაც მოსდევს თვითმკურნალობის მძიმე შედეგები და მათი არარაციონალური ხარჯვა.

ყოველივე ამან განაპირობა წამლების გაცემისადმი მეტი კონტროლის დაწესება, რაც საჭირნალო საშუალებათა რაციონალურად ხარჯვის პირობებს შექმნის.

საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განკარგულებით, ყოველ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ხელმძღვანელი დანიშნავს პასუხისმგებელ პირს, რომელსაც დაეკვალება ყველა სახეობის სარეცეპტო ბლანკების მიღება, შენახვა, აღრიცხვა და გაცემა. სარეცეპტო ბლანკები მიეცემა მედიცინის დარგის იმ მუშაკებს, რომელთაც უფლება აქვთ გამოწერონ რეცეპტი.

თითოეული რეცეპტი უნდა დამოწმდეს ექიმის პირადი ბეჭდით — თანადადობის, წოდების აღნიშვნით. რეცეპტები ყველა გაცემულ წამალზე აფთიაქში რჩება. სამკურნალო საშუალებათა განმეორებით მიღებისას ავადმყოფმა უნდა წარმოადგინოს ახალი რეცეპტი.

აფთიაქში ერთ რეცეპტზე გამოწერილი ორი წამლიდან ერთ-ერთი მათგანის დროებით უქონლობის შემთხვევაში, წამლის გაცემის ნიშნად რეცეპტზე დაისმის შტამპი „წამალი გაცემულია“, ხოლო რეცეპტი უბრუნდება ავადმყოფს. მეორე წამლის გაცემისას, რეცეპტი აფთიაქში რჩება.

იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფს მკურნალობის ხანგრძლივი კურსი ენიშნება, შეიძლება რეცეპტი გამოიწეროს ორ თვემდე ვადით. ამასთანავე თვალის ზოგიერთი წვეთისა და მალამოს რეცეპტს არ ჩამოართმევენ, მათ ძალა აქვთ ერთი წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, დამტკიცებულია სამკურნალწამლო საშუალებათა და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმთა ნუსხა, რომლებიც ურეცეპტოდ გაიცემა. ამ ნუსხაში შევიდა 539 დასახელება. ესენია პრეპარატები, რომლებსაც იღებენ გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და ღვიძლის სნეით დაავადებულნი, აგრეთვე ურეცეპტოდ გაიცემა ვიტამინები, ასთმის, გრიპის, თავის ტკივილის საწინააღმდეგო მედიკამენტები, მცენარეული წამლები და სხვ.

— როდის შევა ძალაში წამლის გაცემის ეს ახალი წესი და მის შესრულებასთან დაკავშირებით რა ორგანიზაციული ღონისძიებები განხორციელდება?

— სსრ კავშირის სამინისტროს ბრძანებით, ახალი წესი 1978 წლის ბოლომდე უნდა დაინერგოს, რისთვისაც მთელ რესპუბლიკაში დიდი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

მოსახლეობის წამალთმომსახურების გაუმჯობესებისა საქმეში დიდი როლი ენიჭება, ერთი მხრივ, სამედიცინო მრეწველობის საწარმოების მიერ მედიკამენტების დროულ და რიტმულ გამოშვებას, ამავე დროს მიღებული წამლების დამუშავებას, დახარისხებასა და აფთიაქებისათვის მათს მიწოდებას. ამ მხრივ ჩვენი საფთიაქო მეურნეობა მოძველებულია, ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ყოველივე ამის გამოსასწორებლად თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და ზუგდიდში აშენდება ახალი საფთიაქო საწყობები, დამონტაჟდება ახალი თანამედროვე ტექნიკა, რაც განაპირობებს მედიკამენტების მარაგისა და მოძრაობის აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემას. საფთიაქო ქსელის მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის გამოყენებული იქნება საეკიპაჟური გადასაზიდი ტრანსპორტი. სათანადოდ მოეწყობა აგრეთვე ცენტრალური საფთიაქო საწყობი, რათა შეიქმნას ყველა პირობა მედიკამენტების დახარისხებისა და გაცემისათვის.

იმისათვის, რომ აფთიაქები უზრუნველყოთ საჭირო მუშის ტარით, ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე, კვების მრეწველობის ერთ-ერთი შუის ქარხანა გამოუშვებს საფთიაქო ჭურჭელს.

მოსახლეობის წამალთმომსახურების გაუმჯობესებაში დიდი როლი ენიჭება აგრეთვე საფთიაქო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაკთა კონტაქტებს, მათ შორის საინფორმაციო მუშაობის გაუმჯობესებას, მკურნალება საქმის კურსში უნდა იყვნენ, თუ რომელი მედიკამენტები არის რესპუბლიკის ხაფთიაქო სისტემაში და ავადმყოფებს გამოუწერონ ისეთი წამლები, რომლებიც იშოვება და მათთვის ხელმისაწვდომია.

ცხადია, ახალი წესის დანერგვა პირველ ხანებში გარკვეულ სიძნელეებს, დაბრკოლებებს შექმნის. მთავარი საფთიაქო სამმართველო მზად არის ყველა გაუგებარი და საკონსულტაციო საკითხისადმი ყურადღება გამოიჩინოს და ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ დავიცვათ მოსახლეობის ინტერესები, ვიზრუნოთ მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის.

საუბარი ჩაიწერა
ლ. ხუბულურმა.

ფეხბურთი

სასიხარულოც, საწყენიც

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 2:0 (0:0)

დინამელები — მინდორზე ორი ძირითადი მოთამაშის — განაპირა მცველების — ხიზანიშვილისა და მუჯირის გარეშე გამოვიდნენ: ხიზანიშვილი გუნდში საპატიო მიზეზით არ იყო, რაც შეეხება მუჯირს, მან წინა მატჩებში მიღებული ორი გაფრთხილების გამო გამოტოვა თამაში. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ შეხვედრის 23-ე წუთზე ყიფიანი დაშავდა და მინდორი დატოვა, გასაგებია, თურა ძნელი ამოცანის წინაშე დადგნენ თბილისელები.

და ყოველივე — სასიხარულოც და საწყენიც შესვენების შემდეგ მოხდა. მეორე ტაიმის დაწყებიდან სრული სამი წუთიც არ იყო გასული, რომ დარასელას მიერ კარგად წამოწყებული კომბინაცია შესანიშნავად გაგრძელა გუცაევმა, ხოლო ჩელებაძემ იგი რკინიგზელთა კარში პირველი გოლით დაგვირგვინა. მატჩის დასასრულს კიდევ ერთი სამსვლიანი კომბინაცია გათამაშდა: ბანუჩარ მაჩაიძე-გუცაევი-ჩელებაძე და ამ უკანასკნელმა გაზარდა ანგარიში (მე-80 წუთი).

ახლა იმ საწყენს შესახებაც, რომელმაც კორეტულად წარმართული შეხვედრა შებღალა და, რაც მთავარია, დინამოელთა კოლექტივი ახალი პრობლემის წინაშე დააყენა. საქმე ის არის, რომ კანთელაძემ უხეში თამაშისათვის მატჩის დასაწყისში ჯერ სიტყვიერი შენიშვნა მიიღო, შემდეგ გაფრთხილება, ხოლო შეხვედრის დასასრულს მინდვრიდან გააძევეს. კანთელაძემ თავისი არასპორტული მოქმედებით მეტად ძნელ ვითარებაში ჩაიგდო კოლექტივი.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, რუხაძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (ჩელებაძე), შენგელია (ჩიტაძე).

ჯ. ენუქიძე.

სხვა მატჩები

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის კიდევ ექვსი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს:

„შახტიორი“-„ზენიტი“ — 1:0
„დნეპრი“-„ტორპედო“ — 2:0
„ზარია“-„არარატი“ — 1:0
„დინამო“ (კ.)-
„პახტაკორი“ — 2:2
„დინამო“ (მ.)-
„ნეფთჩი“ — 1:0
„ჩერნომორეცი“-
„ცსკა“ — 4:0.

მოკლედ —

კალათბურთი. თბილისის დინამოელი კალათბურთელები ნიკოლოზ დვრიეუნინი და ზურაბ გრძელიძე მიწვეული ანიან სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში. საბჭოთა გუნდი ეშზადება ევროპის ახალგაზრდული ნაკრები კოლექტივების ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. კონტინენტის პირველობა გაიმართება 20-30 ივლისს იტალიაში.

ველოსიპედი. „იუგოსლავიის ტურის“ მრავალდღიან ველოსიპედოლაში რვა ეტაპის შემდეგ საბჭოთა ნაკრები კვლავინდებურად ლიდერობს. ჩვენი სპორტსმენები პიკუესი, ნიკიტენკო, ჩუსეინოვი და ავერინი პირად ჩათვლაში შესაბამისად პირველ-მეოთხე ადგილებზე არიან.

სროლა. ლვოვში მიმდინარე მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატში „ბაქცეულ ტახზე“ სროლაში უფლემა იგორ სოკოლოვმა სამი ქულით გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი — 582 ქულა.

მძლეოსნობა. მონრეალის ოლიმპიადის ეერცხლის ბრონზოლა ჯეიმს ბატჩმა (აშშ) ჭელსინკში გამართულ მძლეოსნთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ყველას აჯობა სამხტომში. მან წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგით დაამთავრა ასპარეზობა — 19,24 მეტრი.

ესტონელი სტუმრებში

ამას წინათ ხაქართველოს ეწვია ესტონეთის სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის მუშაკთა დელეგაცია. სტუმრები ათ დღეს ეცნობიენენ ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ-განმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, გაიცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, მუზეუმებს, იყვნენ ქალაქმუზეუმ მცხეთაში, ხოლო შემდეგ იმოგზაურეს რაჭა-ლეჩხუმში.

**ცაგერის რაიონში ისინი დაინტერესდნენ ხარაიონო კულტურის სასლისა და ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის, ორბელის სასოფლო ბიბლიოთეკის და სასოფლო კლუბის მუშაობით, ინახულეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. პარტიის რაიონკომის პირველი მდივანი მ. გეგეშიძისა და ეროვნული ... ბიჭვინთაში, ... კულტურის დარგში, ხოლო რაიონის კულტურის კერებში ... ...